# მშდ წლის ყოველ დროს

სტარტი მიეცა ახალ საკავშირო შეჯიბრებას მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ფიზკულტურელმა.

ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ შეჯიბრებას — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო ჩემპიონატს გაუხნდა უმცროსი ძმა: ამ ზამთარს სტარტს იღებს ფიზკულტურული კოლექტივების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების სპორტკლუბების საკავშირო შეჯიბრება მშდ კომპლექსის ზამთრის მრავალჭიდში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზებზე.

მშდ კომპლექსის მრავალჭიდელები უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ მათი ჩემპიონატები ოთხ ეტაპად ტარდება. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. I და II ეტაპების ფინიში 1979 წლის 1 თებერვლამდეა. ამ მასობრივი შეჯიბრებების სტარტზე გამოვლენ საამქროების, განყოფილებების, ცვლების, ბრიგადების და ა. შ. ფიზკულტურელები. III ეტაპზე, რომელიც აგრეთვე ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს 6 ზონაში ტარდება, 1 მარტამდე უნდა დამთავრდეს. შუა მარტში დადგება IV, ფინალური ეტაპის დრო. ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტული კლუბების გუნდები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს 6 ზონაში გამართულ ტურნირებში იმარჯვებენ, ამ ეტაპზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

საინტერესოა, რომ ზონალურ და ფინალურ შეჯიბრებებში ფიზკულტურული მუშაკები არ დაიშვებიან, ე. ი. პირველობისათვის ბრძოლაში საგრძნობლად იზრდება რიგითი ფიზკულტურელების შანსი.


ფრონეგული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ლელო**

№ 246 (6301) 17 დეკემბერი 1978 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского; Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ხალიჩაზე არიან მომავალი ჩემპიონები

## თბილისის საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში

იმ 131 ათლეტს შორის თბილისის სპორტის სასახლის სამ ხალიჩაზე რომ ასპარეზობს, სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს ვერ შეხვდებით, მაგრამ ბევრი მათგანი, ახლა იუნიორთა მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონისა თუ პრიზიორის ტიტულს რომ ფლობს, ახლო მომავალში სავსებით შესაძლებელია, ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირების უმაღლეს კვარცხლბეკზე ვიხილოთ.

მომავალ ჩემპიონთა ტურნირი — ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც დღეს საღამოს დაასახელებს კიდეც გამარჯვებულებს.

პირველყოვლისა ქართველ ათლეტებზე.

შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 25-მდე ორთაბრძოლა გამართეს, აქედან 14-ში გაიმარჯვეს. ორი წრის შემდეგ 48 კგ. წონითს კატეგორიაში 0 საჯარიმო ქულა აქვს თ. ყაზარაშვილს, 57-ში შეჯიბრებას სამი თბილისელი აგრძელებს — ბ. გოგიჩაშვილი (4), ა. ქველიაშვილი (3), ვ. სეფერთელაძე (5). 90 კგ — ორი დამარცხების შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა ნ. ჩინჩიბაძე. 100 კგ — გ. კვიცაშვილი (0), 74 კგ — ვ. ადეიშვილი (0), თ. ხარაიშვილი (4). ლ. შავაძემ ორი მარცხის შემდეგ მაყურებელთა შორის გადაინაცვლა. 82 კგ — ჯ. ტატურაშვილი (5), მძიმე — დ. კორძაძე (0), ზ. ვლოხაშვილი (4).

გუშინ, დილით, მესამე წრის შეხვედრების შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ ა. გიჯაშვილი (52 კგ) და გ. ოდიშარია (68 კგ). ამ წონითს კატეგორიაში ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა დ. ლატარიამ, რომელიც 1,5 საჯარიმო ქულით აგრძელებს შეჯიბრებას. რა თქმა უნდა, ორი-სამი წრის შემდეგ რაიმეს დაბეჯითებით თქმა ნაადრევია; მაგრამ ტურნირის პირველ შთაბეჭდილებებზე საუბარი უკვე შეიძლება.

პირველი, რაც თვალში ეცემა კაცს, უამრავი გაფრთხილებაა. მსაჯები სპორტსმენთა პასიურობაზე

(დასასრული მე-4 გვ.).

სურათზე: კიეველების ნ. მაკარენკოსა და ა. ნიჩის შეხვედრის მომენტი.

ვ. ხუცურაულის ფოტო.

# სატურნირო „მიტელშპილი"



X ტური სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. იგრძნობოდა სატურნირო „მიტელშპილის" სუნთქვა. ყველა მონაწილე მიისწრაფოდა გასულიყო ფინიშის სწორზე ქულათა შესაძლებელი მაქსიმუმით, ამიტომ თამაშის დაწყებიდან სამნახევარი საათი ისე მიიწურა, რომ არც ერთი პარტიის შედეგი არ ჩანდა.

და აი, პირველმა თავი გამოიჩინა მ. ტალმა. მისი შეხვედრა ვ. ტუკმაკოვთან ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. რამდენიმე უკეთეს მდგომარეობაში ტალმა, 40-წუთიანი მოფიქრების შემდეგ, უარი თქვა ლაზიერების გაცვლაზე. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. შემდეგ გონებამახვილი, მაგრამ რისკიანი ოპერაციით მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ცენტრში იერიში აიწყო მეტოქის მეფეზე. ტუკმაკოვი თავგამოდებით იცავდა პოზიციას და ინიციატივასაც კი დაეუფლა. ტალმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა დაფაზე სხვადასხვა ფერის კუთა დაბოლოება შეიქმნა და ყაიმი გარდუვალი აღმოჩნდა.

თბილისელი დიდოსტატი ე. გუფელდი ხუმრობით ამბობდა, რომ ჩემპიონატის ვეტერანს ე. გელერს საღამოს ექვსსა და შვიდ საათს შორის „მკვდარი საათი" აქვს და ამ დროს ხანგრძლივ, აუღელვებელ ფიქრს ეძლევაო. ეს შეიმჩნეოდა პოლუგაევსკისთან პარტიაშიც. სწორედ „მკვდარი საათის" პერიოდში, გელერმა თავის მე-15 სვლაზე... საათ-ნახევარი (!) იფიქრა და, რა თქმა უნდა, პარტიის ნორმალური მსვლელობა დაირღვა. მოახლოებულ ცაიტნოტში გელერი აჩქარდა, შეცდა და დამარცხდა.

რამდენიმე წარუმატებლობის შემდეგ კასპაროვმა მონდომებით ითამაშა ა. ბელიავსკისთან. მათს შეხვედრაში გარკვეულ მომენტამდე პოლუგაევსკი — ტალის პარტია გამეორდა. შემდეგ ბელიავსკიმ მწვავე გაგრძელება აირჩია, პაიკი შესწირა, მაგრამ მერე რაღაც გადაიფიქრა, რადგან მისი იერიშიდან არაფერი გამოვიდა. კასპაროვმა ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა, მაგრამ შემდგომ უზუსტოდ ითამაშა და ბელიავსკიმ პარტიის გადარჩენის შანსი მიიღო.

გთავაზობთ ამ პარტიის დასკვნით ეპიზოდს.



თითქოს ყაიმი გარდუვალია, მაგრამ კასპაროვი (თეთრები) ხგნებს ბრძოლის გაგრძელების შენიღბულ შესაძლებლობას. 32. კ:g4 ე:d4 33. კe2 ე:d5 34. f3! (გამიზნულია ცუდად განლაგებული მხედრის წინააღმდეგ) 34. ... ეc5 (უკეთესი იყო 34. ... b5!) 35. ე:c5 bc 36. კd3! c4 37. კc2 c3 (თორემ მხედარი ვერ გათავისუფლდება) 38. მფf2 მc4 39. მფe2! მ:a3 40. მფd3 მb4 41. a4 მc7 და ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო. თეთრებმა თავისი 41-ე სვლა ჩაიწერეს. შეძლებს თუ არა ნორჩი მოჭადრაკე უპირატესობის რეალიზებას, გადადებული პარტიების დამთავრების დღეს გამოჩნდება.

დაძაბულად ვითარდებოდა ე. სვეშნიკოვ — თ. გიორგაძის შეხვედრა. სიცილიურ დაცვაში ჩელიაბინსკელმა დიდოსტატმა კერესის იერიში გამოიყენა და პერსპექტიული თამაში მიიღო. გიორგაძე შეუპოვრად, ძლივს იგერიებდა მუქარას. თითქოს კატასტროფა გარდუვალი იყო, მაგრამ სვეშნიკოვი დაყოვნდა, რითაც კარგად ისარგებლა მოწინააღმდეგემ და კონტრიერიში განავითარა. 37-ე სვლაზე სვეშნიკოვმა მას ყაიმი შესთავაზა. გიორგაძეს ერთადერთი სვლა ჰქონდა — მეტოქის ეტლის აყვანა. ეს კი ყაიმზე უარს ნიშნავდა. გიორგაძე ჩაფიქრდა. ამ დროს დემონსტრატორმა შეცდომით ეტლის აყვანა აჩვენა. ტალმა ღიმილით თქვა: „დემონსტრატორები დიდოსტატებზე უკეთესად თამაშობენ!" შეცდომა გასწორდა. გიორგაძე კი კვლავ ფიქრობდა. ბოლოს მეტოქეებმა დაზავების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ო. რომანიშინმა მოუგო გ. ტიმოშჩენკოს. ტ. მიხალჩიშინი — ბ. გულკო და ვ. ცეშკოვსკი — ზ. კუზმინი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.




10 ტურის შემდეგ მ. ტალს 6,5 ქულა აქვს, ლ. პოლუგაევსკის, ვ. ცეშკოვსკის — 6-6, ა. ბელიავსკის — 5,5 (2), ო. რომანიშინს, ე. სვეშნიკოვს — 5,5-5,5, თ. გიორგაძეს 5 (1).

დღეს XII ტური გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან: მიხალჩიშინი — კასპაროვი, დორფმანი — გულკო, სვეშნიკოვი — ბელიავსკი, რომანიშინი — რაზუვაევი, ცეშკოვსკი — გიორგაძე, ტალი — ტიმოშჩენკო, გელერი — კუზმინი, ვაგანოვი — ტუკმაკოვი და მაკარიჩევი — პოლუგაევსკი.

ვ. მიქენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



სურათებზე: ვ. ზაგიროვი; მაყურებელთა დარბაზში.
ს. კილაძისა და მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ლიდერთა დუელი

ცრუნზე, 16 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.) ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გუშინ X ტურის პარტიები გათამაშდა. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში ლიდერთა შეხვედრები იყო.

მ. რანიკუმ (ტალინი) მოუგო ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი). მეორე ლიდერმა ნ. გურიელმა ვერ დაამთავრა შეხვედრა თ. ხუგაშვილთან. პარტია გადაიდო გურიელის დიდი უპირატესობით.

ყაიმზე შეთანხმდნენ იოსელიანი — მ. ლიტინსკაია (ლვოვი) და ტ. ზატულოვსკაია — ლ. ბელავენეცი (ორივე — მოსკოვი).

დაუმთავრებელი დარჩა ნ. ვორონოვა (ნაბერეჟნიე ჩელნი) — ტ. ჩეხოვას (მოსკოვი), ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — ტ. ფომინას (ტალინი), ლ. სემიონოვა — ლ. ლისენკოს (ორივე — კიევი) და ლ. ზაიცევა (მოსკოვი) — ტ. მოროზოვას (ოდესა) პარტიები.

10 ტურის შემდეგ მ. რანიკუს 7,5 ქულა აქვს, ნ. გურიელს — 6,5 (1), მ. ლიტინსკაიას — 6,5, ნ. იოსელიანს, ტ. ზატულოვსკაიას—6-6.

## ჭადრაკი

● როგორ შეხვდნენ ჩვენი სპორტული ბაზები ზამთრის სეზონს?
● მომავალი თაობის ჯანმრთელობა უპირველესი საზრუნავია. მე-2-3 გვ.
● ბრძნული თამაშის ქომაგნი. მე-3 გვ.
● კრუიფი გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს. მე-4 გვ.
● ბიჭვეთი ტანვარჯიშის ზეიმზე. მე-3 გვ.

... **დილის** ბინდში გახვეული პატარა მატარებელი ქოშინით მიუყვება დათოვლილ ხეობას. დროდადრო წამოიკივლებს, უფრო მაშინ, თეთრქუდმოხურულ სოფლებს თუ გაუსწორდება. მერე შედგება კიდეც, თითო-ოროლა მგზავრს უბეში გამოიკრავს და ისევ ხვნეშა-კრუსუნით გაუდგება გზას.

ვაგონში თბილა. არ ვიცი, კუთხეში მიყუჟული ქვანახშირის ღუმელის ღუღუნის ბრალია თუ უძილო ღამისა, ერთი კი არის, მგზავრებისათვის რულს დაურევია ხელი. გარინდებულა ვაგონი, გარინდებულან თაროებზე შეყრილი თხილამურები. დაორთქლილ ფანჯრებს იქით კი გაუმტარ სიშავედან გამორბიან და იქვე იკარგებიან დათოვლილი ნაძვების თეთრი ჩრდილები.

ისევ დაიკივლა მატარებელმა, შეძაგძაგდა და დადგა.

ცემი.

ღია კარიდან სიცივეს ცინცხალი დილაც შემოჰყვა.

— ესე ძია! — დაიძახა ვიღაცამ და ვაგონიც ერთბაშად გამოფხიზლდა. მიიწ-მოიწიეს ბიჭებმა, ჩამოსვეს.

ესეს თავისი განუყრელი სამფეხა ფოტოთი ყველა ვიცნობდით. თუ არა, გაგონილი მაინც გვქონდა. ცემში დაემგზავრებოდა ხოლმე მატარებელს, მერე „ოცდახუთიანს" მიაშურებდა და ქაღალდზე გადაჰქონდა მზე, თოვლი და თხილამურები.

გაცოცხლდა ვაგონი და ბაკურიანამდე აღარ შეწყვეტილა სიცილხარხარი და ოხუნჯობა. ენაკვიმატი ესე მთელი ამ ხმაურიანი კონცერტის სული და გული იყო...

მას შემდეგ თხუთმეტი წელიწადი მაინც გავიდა. პატარა ორთქლმავალი ელმავალმა შეცვალა, შეიცვალა ვაგონებიც, კარგა ხანია აღარც ესე ძია შემხვედრია, მეც ხან დილით მიწევს მგზავრობა, ხან შუადღისას, ხან ავტობუსით, ხან მატარებლით, მაგრამ ჩამოვარდება თუ არა სიტყვა ბაკურიანზე, მეხსიერებაში რატომღაც ის დილა ცოცხლდება, სხვანაირად ვერ ვახერხებ — ფსეთი დარჩა ის გზა, გზა ბორჯომიდან ბაკურიანამდე.

შეიძლება უადგილოც იყოს ეს, ცოტა არ იყოს, ლირიკული მოგონება. შეიძლება საგაზეთო წერილს მაინცდამაინც არ უხდებოდეს, მაგრამ რატომღაც ასე ვარჩიე.

• • •

დღეს ბაკურიანი სათხილამურო ცენტრია — სხვადასხვა სიმძლავრის ტრამპლინების სისტემა, საციგაო, კოხტა I და კოხტა II-ის სწრაფდაშვებისა და გიგანტური სლალომის, ბიატლონისა და საკმაოდ რთული სარბენი ტრასები. ბაკურიანი სპორტის სულ სხვადასხვა სახეობათა სპორტსმენთა და ნაკრებთა ვარჯიშისა და უდიდესი საერთაშორისო ტურნირებისთვის სამზადისის ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი ადგილიც არის.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშობათა ...რა ერთსა თუ ორ გამარჯვებას ბაკურიანში ჩაყრია საფუძველი.

კარგია, რომ იტყვიან, სწორედ ასეთია ეს, გორებში ძვირფასი თვალივით ჩასმული დაბა, და კარგი რომ არის, ბევრიც მოეთხოვება.

სპორტულ გაზეთს პირველყოვლისა სპორტული ნაგებობანი აინტერესებს. ჩემი მივლინებაც, ბუნებრივია, ტრამპლინებით, საბაგირო გზებითა და სათხილამურო ტრასებით შემოისაზღვრა.

დაბა დაზამთრებული დამხვდა — ბუხრები ცისფრად ბოლავდნენ, ორღობეებში ერთი ამბავი ჰქონდათ თოვლში ამოგანგლულ ძაღლებს. აქა-იქ თხილამურებსაც მოვკარი თვალი. პარკში გავედი, ტრამპლინები

# ბაკურიანი გუშინ, დღეს.





და საციგაოც მოვინახულე, კოხტას ქვემო სადგურზეც ავედი.

სასტუმრო „ბაკურიანი" გაკრიალებულ-გაკოხტავებული ელოდება პირველ დამსვენებლებს. „დინამოს" საცხოვრებელ ბაზაშიც ყველაფერი გაუკეთებიათ, რაც შესაძლებელია — ოთახებში ახალი ინვენტარი დგას, გამქირავებელ პუნქტში დღე-დღეზე მოელიან თხილამურებს. ეს ერთ-ერთი ძველი ბაზა აქამდეც ყველაზე თბილი იყო დაბაში, ახლაც სიმყუდროვე და სითბო ტრიალებს და თუ გარეგნულად მაინცდამაინც ეფექტურად ვერ გამოიყურება შენობა, ამაში დირექციასა და მომსახურე პერსონალს, რა თქმა უნდა, ბრალი არ მიუძღვის. პრაქტიკულად ვერა და ვერ განხორციელდა კაპიტალური შეკეთებისა თუ ახალი შენობის აგების საქმე. ბაზის დირექტორის შოთა ჯეირანაშვილის თქმით ყინულის საციგურაო სრულ წესრიგში იქნება, პატარა საბაგირო კი, ეს რამდენიმე წელიწადი პატარა მოთხილამურეების გულებს რომ ახარებს, უკვე მუშაობს.

სპორტკომიტეტის საცხოვრებელ ბაზაში ბაკურიანის სპორტკომბინატის მთავარ ინჟინერს შოთა მაზმიშვილს ვესაუბრე.

— ჯერ იმის შესახებ, რაც გვაწუხებს, — დასამალი არაფერია და მთავარი ინჟინერიც გულახდილად ამბობს რატომღაც ტრადიციადქცეულ შეფერხებათა შესახებ. კოხტა I-ის საბაგირო წესრიგში არ არის, გაჭიანურდა სათადარიგო ნაწილების შოვნა, ამ სეზონისთვის განზრახული იყო კოხტას ჩრდილოდასავლეთის ფერდზე ახალი გიგანტური სლალომის ტრასის საექსპლოატაციოდ გადაცემა. 1700-მეტრიანი ტრასა მზად არის, მაგრამ რად გინდა. საბაგირო „ვლ-1000"-ის მე-4, მე-5 და მე-6 საყრდენების რკინა-ბეტონის საძირკველის ჩაყრა ვერ მოესწრო. ბუნებრივია, ლითონკონსტრუქციებიც არ აგვიტანია. მიზეზი? სამუშაოები ერთობ გვიან, სექტემბერში დაიწყეს, ახლა კი რკინა-ბეტონის ჩასხმას აზრი არც აქვს — მერმის ხელახლა გასაკეთებელი გახდება. გაუყვანელი დაგვრჩა 1600-მეტრიანი სარეზერვო კვების კაბელი მიტარბიდან კოხტა II-ის მეორე უბნამდე. ძირითადი კაბელის დაზიანების შემთხვევაში ეს სათადარიგო კაბელი პირდაპირ მისწრება იქნებოდა. არ ვიცი, ასე რატომ გაჭირდა კაბელის შოვნა. ძირითადად ეს არის. ყველა დანარჩენი საქმეები მოთავებული გვაქვს. მოვაწყვეთ ბიატლონის სასროლეთი, მზად არის საციგაო ტრასა და ოთხივე ტრამპლინი თავისი საბაგიროთი. თოვლის სატკეპნი მანქანები თავზე არ გადაგვდის, მაგრამ როგორმე გავალთ იოლას. ბაკურიანში ჩამოყალიბდა სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი (დირექტორი ი. ოგანეზოვი), რომელიც მოსკოვს ექვემდებარება. საჭიროების შემთხვევაში, იმედია, ხელს გაგვიმართავენ. და კიდევ ერთი: წლევანდელი სეზონის სამზადისში დიდად დაგვეხმარა პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივნის ირაკლი ჯურგენიძის შესაშური ყურადღება. მომავლისთვის კი ერთი სურვილი მაქვს: ბაკურიანი მაღალმთიან რაიონებს განეკუთვნება და თუ სერიოზულად გვსურს რაიმეს გაკეთება, ყველანაირი სამუშაოები აქ ადრე, ივნის-ივლისში უნდა დაიწყოს. სექტემბერ-ოქტომბერში, თუნდაც აგვისტოში დაწყებულ საქმეს ნაადრევი ზამთარი უსწრებს.

ეს ყველაფერი კარგი, ბაკურიანი ემზადება და ვთქვათ, კარგადაც ემზადება სპორტსმენთა დასახვედრად, მაგრამ ამის იმედზე დარჩენა ერთი დიდი პრობლემის სანახევროდ მოგვარებაა. კარგია ლეიკ-პლესიდისთვის სამზადისი, კარგია მედლები — ჩვენ კი არანაკლებ და შეიძლება მეტადაც სხვა რამ გვაწუხებს.

• • •

მივლინებაში წასვლის წინ ერთ ნაცნობს შევხვდი. როცა გაიგო ბაკურიანში ვაპირებდი, უკმაყოფილოდ გააქნია თავი — „რამდენი ხანია ბავშვების წაყვანა მინდა. ექიმებმა მირჩიეს, ზაფხულში და შემოდგომაზე გეგმებს ვაწყობ, დაზამთრდება და... ახალი წელიც მოდის, იანვრის არდადეგებიც, ბავშვებიც ყოველ დილით მეკითხებიან — მალე წავალთ ბაკურიანშიო? ვერა და ვერ გავბედე. სასტუმროში

ჩიტი ვერ შეუფრინდება, სხვ...
ბიც ტურისტებითა და ს...
ნებით არის სავსე. კერძო ბ...
...ყველაფერი ... ტრამ...
... ნაცნობ...
... კი ერთი წუთითაც ა...
წყდებოდა.

რაღა შორს წავიდე, ა...
წლის წინათ მეც იმ კაცის...
ვიყავი. მაგრამ მე „გავბედე"...
...ი ვიწვალე, ბევრიც ...
ხან სად ვეწყობოდით, ხან ...
ბიჭებიც დაიზარდნენ, გა...
და პირველივე ბაკურიანულ...
თრის მერე არც ერთს, რ...
ვიან, თითიც არ წამოს...
ჩემს ბიჭებს წყვილ-წყვილი...
ზებია ჰყავთ და ადრე ცე...
უცქერდნენ „ავანტიურისტ...
ზაურობებს", ახლა სულ ...
დნენ.

რა თქმა უნდა, თუ გ...
ლობს, ქადა ორივე ხელით...
მაგრამ „ბაკურიანული ...
მებით" დაშინებული ...
ბევრნი, ძალზე ბევრნი ...
ეს შიში სრულებითაც არ ა...
ფუძვლო.

იმაზე საუბარი, იმის მ...
თუ რა სასარგებლოა ბაკუ...
ვშვებისათვის (განსაკუთრე...
მთარში), ვფიქრობ, აუც...
არაა. ის კი, თბილისელ, ქ...
რუსთაველ თუ გორელ ...
როგორ მოვუძებნოთ ად...
პირობები შევუქმნათ თუნ...
ტო იანვრის არდადეგების ...
სწორედ რომ სალაპარაკო ...
ლებლად სალაპარაკოც ა...

ბავშვები. ბავშვთა ფიზ...
და სპორტი. მერე ვარჯი...
ჯიში, სპარტაკიადები, ო...

# დრო მართლაც არ ითმენს

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მაშასადამე, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში ყველა სპორტული ბაზის მუდმივ ვარგისიანობას, მათ მაქსიმალურ გამტარიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გაწვრთნილი სპორტსმენისთვის თუნდაც ორიოდე დღით რეჟიმის დარღვევას შეიძლება ისეთი დანაკარგი მოჰყვეს, რომლის ანაზღაურებას კვირეები და, შესაძლოა თვეებიც დასჭირდეს.

სპორტის თანამედროვე დონე ათლეტისგან მოითხოვს თითქმის ყოველდღიურ, ინტენსიურ წვრთნას, ურომლისოდ წარმატებებზე ფიქრიც კი არ შეიძლება. ბუნებრივია, ზამთრის დადგომისთანავე სტადიონებიდან, მძლეოსნური სექტორებიდან და სარბენი ბილიკებიდან, სასროლეთებიდან სპორტსმენები დარბაზებში, მანეჟებში გადადიან, რომ იქ ვარჯიშით გაზაფხულის პირველივე სტარტებს მზადყოფნაში შეხვდნენ. მით უმეტეს, ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებისთვის 1979 წლის სეზონი ჩვეულებრივზე ადრე იწყება: ჯერ რაიონული, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადები ჩატარდება, მერე კი, საბოლოოდ, მაისივნისში, რესპუბლიკურ კომპლექსურ შეჯიბრებებში უნდა გაარკვიონ ვინ როგორ მოემზადა საქართველოს სპარტაკიადისთვის, ვის რა შეუძლია არგოს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს.

მაგრამ სპორტსაზოგადოებებისა თუ საწარმო-დაწესებულებების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების დარბაზები თვით ამ ორგანიზაციების ფიზკულტურული კოლექტივების წევრთა სექციებისა და ჯგუფების საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვისაც ხომ საჭიროა, მაშასადამე, ზამთრის სეზონისთვის მზადებასაც დროზე უნდა შედგომოდნენ.

დედაქალაქის ზამთრის ბაზების დირექციების ერთ ნაწილს ამ მიმართებით მართლაც ვერაფერს ვუსაყვედურებთ: სპორტის სასახლე, „დინამოს" სპორტკომბინატის აუზი და დარბაზები, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზი, ფარიკაობისა და ძალოსნობის დარბაზები, ახალი მძლეოსნური მანეჟი, ლენინის სახელობის დარბაზი, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" ბაზები, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს დარბაზები და სხვანი ზამთარს ძირითადად მზად შეხვდნენ. მათი ნაწილი, ასე ვთქვათ, კარგ სპორტულ ფორმაშია, სხვა მნიშვნელოვანი ნაწილიც შეიძლება სათანადოდ იქნას გამოყენებული, მაგრამ თბილისში მაინც ბევრი ნაგებობაა, რომლებიც პირდაპირ შეიძლება ითქვას, ზამთრის სეზონისთვის არც მომზადებულან — ზოგი დაკეტილია. ზოგან წვრთნის ჩატარება შეუძლებელია.

დედაქალაქის ყველა რაიონის სპორტსკოლის, ყველა სპორტსაზოგადოების, უწყების, საწარმო-დაწესებულების ბაზების მდგომარეობის გაცნობა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ რაც ვნახეთ, ვფიქრობთ, მათი მდგომარეობის განზოგადება ერთ საერთო ნათელ სურათს წარმოგვიდგენს. ამ საქმეში საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს მასალებიც გამოვიყენეთ.

სპორტის სასახლისა და „დინამოს" სტადიონის დარბაზების, აუზისა თუ სხვა ბაზების შესახებ არაფერი გვეთქმის — მათ საქმიანობაში არსებითი ნაკლი ვერ შევნიშნეთ, რაიმე ხელშესახები არც იმ სპორტსმენებს უთქვამთ, რომლებიც ამ ბაზებზე ვარჯიშობენ: არც საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზსა და ფარიკაობის დარბაზში დასაქმებულთ დაცდენიათ რაიმე პრეტენზია, მაგრამ ძალოსნობის დარბაზში, რომელიც ამ სახეობაში მზადების მთავარი ცენტრია, ყველაფერი რიგზე როდია — გასახდელებში კარადების მნიშვნელოვანი რიცხვი მწყობრიდან გამოსულა, არ იკეტება, ამიტომაც სპორტსმენთა ნაწილი დარბაზში იხდის, ძვირფას ნივთებს კი პირდაპირ მაგიდაზე აწყობს. ჩამტვრეული ფანჯრებიდან მუდამ ქარი ქრის.

ჩვენი სტუმრობის დროსაც ასე იყო, მართალია, ოსტატი სწორედ იმ დღეს მინების ჩასმით იყო გართული, მაგრამ მანამდე?

— ჩარჩოები განსაკუთრებით დასავლეთის მხრიდან უხეიროდ არის ნაკეთები. ოდნავი ქარი საკმარისია, რომ მინები დაიმსხვრეს, მათი შოვნა კი ყოველთვის როდი ხერხდება — თავი იმართლეს აქ.

— ეს დარბაზი უკვე რამდენიმე წელია ამ გასაჭირში, ნუთუ ჩარჩოების შეცვლა აქამდე ვერ მოხერხდა?

— როგორ არა, ეს საკითხი უკვე დადებითად გადაწყდა, ალბათ უფრო მტკიცე ჩარჩოებსაც დაამზადებენ. — განმარტეს, მაგრამ როდის იქნება ეს, VII სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მოასწრებენ, თუ საქმეს მერე შეუდგებიან, ვერავინ გვიპასუხა. ვერც სხვაგან გვითხრეს რამე საიმედო.

კომბინატის დირექტორს ო. მეტრეველს არ დაუმალავს, რომ მის ბაზებზე დროდადრო სხვა შეფერხებებიც არის, თუმცა ისინი უმნიშვნელოა და მათი გამოსწორებისათვის ღონისძიება უკვე დაუსახავთ.

მერე საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნურ მანეჟს ვეწვიეთ. თითქოს ყველაფერი იდეალურადაა. აქ დრო დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე აქვთ განაწილებული ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის აკადემიურ ჯგუფებს. აქვე ვარჯიშობენ უნივერსიტეტის, მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის ჯგუფები, თანამედროვე ხუთჭიდელები, მშვილდოსნები... ვფიქრობთ, ეს ერთი მანეჟისთვის ბევრიცკია. ბაზა კარგად არის აღჭურვილი. მაგრამ უხარვეზო არც ისაა.

მანეჟის დირექტორი დ. ...
ლიანი ნაკლოვანებების ...
გასაცნობად მიგვიძღვება ...
გზა რადიატორებს ხელი...
თითქოს რწმუნდება ხომ ...
ბიო და გვიხსნის:

— გათბობა არ კმარა...
ნორმალური ტემპერატურ...
ის...

ძალაუნებურად გვაგონდ...
შანდელი სეზონი, როცა ...
საყინულეს ჰგავდა, წლე...
ბობა აუზიდან მიიღეს ...
ლური მაგისტრალის რეკ...
ციის გამო მანეჟის მთავ...
შეერთება ცვლავ გადაიდო)...
გათბობა არც აუზს, ძალო...
ფარიკაობის დარბაზებს ...

— ჰიდროსაიზოლაციო ...
ები იმთავითვე უხეიროდ ...
ჰოლში და მანეჟში საშხა...
წყალი ჟონავს, — განაგრ...
რჟოლიანი და ახლა სა...
შევდივართ. აქაც, გასახ...
შმორის სუნია. გაჩუბულ...
ლინოლეუმის ქვეშ წყალი ...
შასადამე იატაკია შესაც...

— აქ ვარჯიშზე ...
ამბობს. — გვაიმედებს ...
რი.

ვერც იტყვიან, რადგან ...
ზამთრის ბაზებით განებ...
არაა და გუნდებმა, თუ ს...
შესაფარი ნახეს, კბილს ...
ნჯავენ.

თუ როგორ შეეგება ...
სეზონს ლენინის სტადი...
მელიც განათლების სისტ...

...შები. საბოლოოდ არც რეკორ-
...ები და არც მედლები თვითმიზა-
...არ არის, ყველაფერი ჩვენივე
...მრთელობისათვის გვჭირდება,
...ათასების, მილიონების ჯანმრთე-
...ბისთვის. მეორე მხრივ სპორ-
...ლი წარმატებების აუცილებელი
...მთავარი პირობა მასობრიობა, ამ
...იონებისთვის ზრუნვაა. სწორედ
...ით უნდა ვიწყებდეთ, დანარჩენი
...ჯანმრთელობაცა და რეკორდე-
..., როგორც შედეგი, თავისთა-
... მოვა. მაგალითად, რა მტკიცე-
...უნდა იმას, რომ 10-12 წლამდე
...ულოდ, უთხილამუროდ და უმ-
...ოდ გაზრდილი ბავშვი მერე ძნე-
... თუ ივარგებს სპორტში და

# ...ვალი?



... უფრო მნიშვნელოვანია, ვე-
... საქვეყნო საქმეს წაადგება.
...შეიძლება თქვან: რატომ მაინც-
...მაინც ბაკურიანი? კითხვაზე კი-
...ით ვუპასუხებდი: რატომ არის,
... სსრ კავშირისა და საქართვე-
... სპორტის სულ სხვადასხვა სა-
...ბათა წარმომადგენლები, მთლი-
... ნაკრებები ბაკურიანში აწყო-
... შეკრებებს? ყველაფერი საკ-
... იოლი ასახსნელია. ისევ პი-
... მაგალითს მივმართავ. ბაკური-
... სულ რაღაც ათ-თორმეტ დღე-
... მოგროვებული ენერგიისა და
...მრთელობის მარაგი ჩემს ბიჭებს
...ემბერ-დეკემბრამდე მთჰყვებათ.
... ვატყობ, რომ საცაა ჩამოყრიან
...ებს, მაგრამ ბაკურიანში წასვ-
... დროც მოდის და ყველაფერი
...ლაპოტში დგება.
...სამწუხაროდ, ზამთრის სპორტულ-
...ასვენებელი კურორტი საქართ-
...ლოში ერთადერთია (საოცარია,
...რამ ფაქტია) და ისიც ჯერ საკ-
...ო მოუწყობელია.

საიდუმლო არ არის, რომ იან-
ვარ-თებერვალში ბაკურიანში დასა-
ძინებელი ადგილის მოძებნაც ჭირს.
ბევრი ოჯახი, უბრალოდ, თავს
არიდებს ამ სირთულეებს. მაგრამ
უამრავი დაბრკოლება ელით იმა-
თაც, ვინც მაინც ახერხებს ბინის
შოვნას, სანთლითაა საძებნი მცირე
ზომის თხილამურები (რაც არის,
უვარგისია და წვალების მეტი არა-
ფერი მოაქვს პატარებისთვის), თი-
თქმის ყველა საბაგირო მხოლოდ
სპორტსმენთა განკარგულებაშია (კა-
ცმა რომ თქვას, არც ისინი არიან
განებივრებულები, იმათთვისაც
პრობლემაა საბაგირო გზები და
თხილამურები). ქვებაზე ლაპარაკი
ზედმეტია — მხოლოდ რამდენიმე
საცხოვრებელი ბაზა აკმაყოფილებს
მინიმალურ მოთხოვნებს, თუმცაღა
ესეც ტურიზმისა და სპორტის ჩა-
რჩოებშია მოქცეული. და საერთოდ,
ჩვენი რესპუბლიკის კურორტებში
დამსვენებელთა მომსახურება ძალ-
ზე დაბალ დონეზე დგას. ერთი დე-
ტალი: ჩემს მეგობრებთან ერთად
ხშირად ვისვენებდი ხოლმე დაბა
ლესელიძეში. ჩვენცა და დამსვენე-
ბელთა საკმაოდ მოზრდილი ნაწი-
ლიც სადილად რუსეთის ფედერა-
ციულ რესპუბლიკაში დავდიოდით
(ლესელიძესა და დაბა ვესიოლოეს
საზღვარი და რამდენიმე კილომეტ-
რი ჰყოფს). კურიოზია, მაგრამ ფა-
ქტია.

ამ წერილში სიტყვა არ გვითქვამს
სტუდენტებზე. არადა, ათასობით
ახალგაზრდას ნამდვილად არ აწ-
ყენდა სემესტრებს შორის თოვლსა
და მზეზე გალაღება. რამდენი ვი-
ცი, ისე ასულა ბაკურიანში და
ისე ჩამოსულა, თხილამურების
გემო არ უგრძვნია. რატომ? ისევ
და ისევ ბაზების სპორტული ინვე-
ნტარისა და მოყვარულთათვის სა-
ბაგირო გზების უკმარობის გამო...

• • •

ისევ ის, თხუთმეტი წლის წინა-
ნდელი მგზავრობა, თხუთმეტი წლის
წინანდელი ბაკურიანი მახსენდება.
უფრო ადრინდელი ენთუზიასტე-
ბიც, მაგრამ ისინი ცოტანი იყვნენ.
მაშინ არც ამდენი მსურველი იყო
და ქალაქშიც უფრო დაიდგომებო-
და. შევცქერი თითისტოლა ბიჭებსა
და გოგონებს ჩანთებით ხელში
სკოლისაკენ რომ მიიჩქარიან, სახ-
ლი ქუჩის პირზე აქვთ. სკოლაც,
გზაშიც მაცოცხლებელი ჰაერის ნა-
ცვლად მანქანის გამონაბოლქვით
ივსებენ ფილტვებს. განა დანაშაუ-
ლი არ არის, ორი, სულ ორად ორი
კვირით ნამდვილ ჰაერზე, თოვლსა
და მზეზე ყოფნის საშუალება მო-
ვუსპოთ?

ვფიქრობ, რომ ეს საკით-
ხი, ხანდახან მეორეხარისხოვა-
ნთა რიგებს რომ ვაკუთვნებთ, მა-
ინც პირველი და მთავარია, თუნ-
დაც იმიტომ, რომ აქედან იწყება
პირველი სპორტული შედეგებიც,
სპარტაკიადებიც და ოლიმპიური
თამაშებიც.

**ი. ბერიაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

**ბაკურიანი.**

## ...ხვდნენ ზამთრის ...ილისის ბაზები?

... სპორტსკოლების აღზრდე-
... მზადების მთავარი ცენტრია,
...ლო" მოსწავლე ძლეოსანთა
...პუბლიკურ საშემოდგომო ან-
...ში შეეხო, ამიტომ მას აღარ
...უბრუნდებით, ვიტყვით მხო-
..., რომ ამ თვენახევარში აქ ბე-
... არაფერი შეცვლილა.
...რჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე
...ლისის სპორტკომიტეტის საჭი-
... დარბაზის გაჭიანურებულ რე-
...ზე უთქმელობა, ან სპორტ-
... „სინათლის" კრივისა და
...ოსნობის დარბაზების გასახდე-
... და საშხაპეების კეთილმო-
...ობლობაზე თვალის დახუჭვა
...ნამდვილად არ შეიძლება.
...ჯალჯომარდობის ცენტრალური
...ური ნიჩბოსნობაში ოლიმპიუ-
... მზადების ცენტრად გადაიქცა.
... დირექცია თავს არ ზოგავს
...ტსმენებს ზრუნვა არ მოაკ-
... გარჯაც დაუფასდათ — წელს
...სპორტის ოსტატი მომზადდა აკა-
...ურ ნიჩბოსნობაში. მაგრამ ბა-
... ხელმძღვანელობას სხვა უამრა-
...საზრუნავი გასჩენია. გადამეტე-
... არ იქნება თუ ვიტყვით, რომ
...ბა ინგრევა — ადმინისტრაცი-
... და სამაშველო სამსახურის
...ბელების კედლები გამსკდარა
...სინათლე გადის. შენობაში წყა-
... ჩამოდის. სპორტულ დარბაზში
...ისგან იატაკის დასაცავად ვა-
...ები დაულაგებიათ. გამკითხავი
...ყავთ, თორემ აქამდე მოძებნი-
... სამშენებლო სარემონტო ორ-
...ზაციას, რომელიც დეფექტების
...ოფხვრას ითავებდა...

... დედაქალაქში ზარ-ზეიმით აღ-
ნიშნეს სანაპიროზე ახალი საწყლო-
სნო კომპლექსის გახსნა. მას შემ-
დეგ თვენახევარი გავიდა. მას ათა-
სობით თბილისელი ცურვის სწავ-
ლის მსურველი მოაწყდა. საწყლო-
სნო სახეობებში ნაკრების წევრე-
ბიც მოუთმენლად ელოდნენ სავა-
რჯიშოდ იქ გადასახლებას. მაგრამ
ყველას მოლოდინი უსაზღვრო გა-
მოდგა: ვერ მოგვარდა ბაზის ორ-
თქლით მომარაგება. აბაზანებში
წყლის გათბობა კი არა, ოთახებში
ნორმალური ტემპერატურის შენა-
რჩუნებაც პრობლემა გახდა.

ერთ წერილში დედაქალაქის ყვე-
ლა ბაზის ნაკლოვანებების სააშკა-
რაოზე გამოტანა ძნელია, მათი დი-
რექციებისთვის ხარვეზები ისედაც
ცნობილია. ეჭვი არ გვეპარება მა-
ნეჟისა და სანაპიროს აუზის ხელ-
მძღვანელები შემჩნეული ნაკლოვა-
ნებების აღმოფხვრისთვის დროუ-
ლად ზრუნავდნენ, და თუ მიზანს
ვერ მიაღწიეს, მხოლოდ ისინი რო-
დი არიან დამნაშავენი. სამწუხა-
როდ, რესპუბლიკის ნაკრები გუნ-
დების წევრებს, რომლებიც სასპა-
რტაკიადო სტარტებისთვის ემზა-
დებიან, ათასობით სხვა რანგის
თბილისელს მიზეზები კი არა, ბა-
ზების ბედი აინტერესებთ და ამ ბა-
ზებს რაც უფრო მალე კეთილმო-
ვაწყობთ, რაც უფრო ფართოდ გა-
ვაღებთ სავარჯიშოების კარს, მით
უკეთესია.

დრო არ ითმენს!

**ო. გელაშვილი,**
**ჯ. ქვარცხავა,**
**ნ. გედენიძე,**
**ზ. ხაბადაშვილი.**

# მომავალშიც გაითვალისწინოთ

„მოსკოვის ოლიმპიური თამაშე-
ბი და ჩვენი რესპუბლიკის ფიზკუ-
ლტურისა და სპორტის პროპაგან-
დისტთა ამოცანები" — ასე შეიძ-
ლება ეწოდოს საქართველოს სსრ
საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის,
საქართველოს სსრ მინისტრთა სა-
ბჭოსთან არსებული ფიზიკური კუ-
ლტურისა და სპორტის კომიტეტის,
თბილისის სპორტკომიტეტთან არ-
სებული ფიზიკური კულტურის სა-
ხალხო უნივერსიტეტის ერთობლივ
რესპუბლიკურ თათბირ-სემინარს,
რომელიც ამ დღეებში გაიმართა
თბილისში.

თათბირ-სემინარი გახსნა საქარ-
თველოს სსრ საზოგადოება „ცოდ-
ნის" გამგეობის თავმჯდომარის მო-
ადგილემ დ. გოგოხიამ. „თანამედ-
როვე ოლიმპიური მოძრაობის პრო-
ბლემები, საბჭოთა სპორტული
ორგანიზაციების საერთაშორისო
კავშირები, როგორც სოციალური
პროგრესისა და მშვიდობის საყო-
ველთაო განმტკიცების ფაქტორი"
— მოხსენება გააკეთა დოცენტმა რ.
კისელიოვმა (მოსკოვი). „ოლიმპია-
და-80"-ის ეკონომიურ ასპექტზე ისა-
უბრა საკავშირო საზოგადოება „ცო-
დნის" რეფერენტმა ვ. ვესელოვმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დო-
ცენტმა ა. ციბაძემ შეკრებილთ მო-
უთხრო იმის შესახებ, თუ როგორ
ავაგოთ ლექცია თემაზე „მოსკო-
ვის ოლიმპიადა". სსრ კავშირის ხა-
ლხთა VII სპარტაკიადისა და მო-
სკოვის ოლიმპიადისთვის საქართ-
ველოს სპორტსმენთა მზადების შე-
სახებ მოხსენება გააკეთა რესპუბ-
ლიკის სპორტკომიტეტის სპორ-
ტულ-მეთოდური სამმართველოს
უფროსმა დ. კაპცოვმა. ჟურნალისტ
თ. გაჩეჩილაძის გამოსვლის თემა
იყო „მშდ კომპლექსი და მისი სო-
ციალური მნიშვნელობა". საქართ-
ველოს სსრ საზოგადოება „ცოდ-
ნის" ფიზკულტურისა და სპორტის
სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს
თავმჯდომარემ, პედაგოგიკურ მეც-
ნიერებათა დოქტორმა ვ. ელაშვი-
ლმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა
ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტუ-
რისა და სპორტის პროპაგანდის
ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს
ეწვია საერთაშორისო მიმომხილვე-
ლი ე. მენაბდე, რომელმაც ლექცი-
ამი „სსრ კავშირის საერთაშორისო
მდგომარეობა" ... და
საინტერესოდ ... მოსკოვის
ოლიმპიადისთვის ... ქვეყ-
ნების ... თათბირ-
სემინარის მონაწილეებმა ნახეს ახა-
ლი კინოფილმი „ოლიმპიადა-80",
დაათვალიერეს თბილისის ახალი
სპორტული კომპლექსები.

პროპაგანდისტთა ამ თავყრილო-
ბას ორ დღეს მასპინძლობდა თბი-
ლისის ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონის სპორტის
ოსტატთა კლუბი, სადაც სემინარის
მონაწილეებს ყოველგვარი პირობე-
ბი შეუქმნეს ნაყოფიერი მუშაობი-
სთვის.

გვინდა მოსკოვის ოლიმპიადისა-
დმი გაზრდილ ინტერესებთან დაკა-
ვშირებით ფართო საზოგადოებრიო-
ბის სურვილი გამოვთქვათ და ამ
კარგი თაოსნობის ორგანიზატორებს
მადლობასთან ერთად ვთხოვოთ მო-
მავალშიც გაითვალისწინონ ამგვარი
ღონისძიების ჩატარება.

**ლ. სუხიაშვილი.**

# მისაბაძი თაოსნობა

სამტრედიაში უყვართ ჭადრაკი.
უყვართ იგი რაიონის სოფლებში,
სკოლებში. ამას მოჰყვა ის, რომ
რამდენიმე წლის წინათ სამტრე-
დიის ცენტრში აიგო საჭადრაკო
კლუბი — მოზრდილი დარბაზი მი-
საღებითა და პატარა ადმინის-
ტრაციული ოთახით. მოჭადრაკეთა
ამ კერამ ხელი შეუწყო რაიონში
ბრძენთა თამაშის პოპულარიზაციას,
მით უმეტეს, რომ კლუბი ხშირად
მასპინძლობს რესპუბლიკური მნი-
შვნელობის ტურნირებს.

ამ მისაბაძ წამოწყებას ერთგუ-
ლი მოთავეები ჰყავს — სამტრე-
დიელი მოჭადრაკეები მ. არჩვაძე,
ა. მაჩიტაძე, რაიონული გაზეთის
რედაქტორი ვ. ნიკოლეიშვილი და
სხვები, რომელთაც მხარში უდგას
რაიონის სპორტკომიტეტის თავმ-
ჯდომარე გ. კალაძე. რა თქმა უნდა,
ენთუზიასტებს ზრუნვას და ყურა-
დღებას არ აკლებს რაიონის ხელ-
მძღვანელობა.

ზაფხულში კლუბს შესანიშნავი
რემონტი გაუკეთდა. იგი უფრო
შთამბეჭდავი და მიმზიდველი შე-
იქმნა. სწორედ ასეთ შენობას მოუ-
ხდება სისხლსავსე საჭადრაკო ცხო-
ვრება. ამიტომაც მესვეურებმა ახა-
ლი საქმე წამოიწყეს: მათ ითავეს
მიმოწერით თამაშში საქართველოს
პირველობის ჩატარება. სამტრედი-
ელთა თაოსნობა მოიწონეს რესპუ-
ბლიკის სპორტკომიტეტმა და საჭა-
დრაკო ფედერაციამ. შეჯიბრების
პირობები „ლელოში" დაიბეჭდა.

— პირველობა უკვე დავიწყეთ,
მონაწილეობის სურვილი ბევრმა
გამოთქვა, ამიტომ შეჯიბრებას რამ-
დენიმე საფეხურად ვატარებთ, —
გვითხრა ამ პირველობის ხელ-
მძღვანელმა ა. მაჩიტაძემ. — ჩე-
მპიონი 1980 წელს გამოვლინ-
დება.

მაგრამ ჭადრაკის სამტრედიელი
ენთუზიასტები ამით როდი დაკმა-
ყოფილდნენ. მათი ინიციატივით
შედგა საქართველოს მოჭადრაკეთა
ნაკრები, რომელიც პირველად ჩა-
ება მიწერ-მოწერითი თამაშის საკა-
ვშირო ჩემპიონატში. როგორც
იტყვიან, ყინული დაიძრა საჭადრა-
კო პაექრობის ამ სფეროშიც.

ყველაფერი ეს აღვივებდა სამ-
ტრედიელთა ინტერესს ჭადრაკისა-
დმი. კლუბს ხშირად იკითხავდნენ
ბავშვები და მათი მშობლები. დღის
წესრიგში ცხოვრებამ ნორჩ მოჭა-
დრაკეთა სკოლის გახსნის საკითხი
დააყენა.

კვლავ ამოქმედდნენ ენთუზიასტე-
ბი, მათ დახმარება აღუთქვეს რა-
იონის მესვეურებმა. და აი, კლუ-
ბში საზეიმოდ გაიხსნა ბავშვთა
საჭადრაკო სპორტსკოლა.

დიდძალი სამტრედიელი დაეს-
წრო სკოლის გახსნის ცერემონი-
ალს. მოიწვიეს სტუმრებიც — სა-
ქართველოს სპორტკომიტეტის მთა-
ვარი მწვრთნელი ჭადრაკში რ.
თავარიანი, დიდოსტატი ე. გუფელ-
დი, მიწერ-მოწერით თამაშში მსო-
ფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო
ოსტატი ი. ესტრინი (მოსკოვი)
და ამ სტრიქონების ავტორი, რო-
მლებიც ამ დროს ქუთაისში ვ. ქარ-
სელაძის მემორიალში მონაწილეობ-
დნენ. საღამოზე ბევრი კარგი ითქვა,
დაჯილდოვდნენ რაიონის ჩემპიონე-
ბი, ენთუზიასტები.

ყველას დიდად მოეწონა სტუმ-
რების მიერ გამართული ოთხი
ხუთწუთიანი „ღია გაკვეთილი",
რომლებზეც საუბარი იყო ქართუ-
ლი ჭადრაკის ისტორიის, დიდ მო-
ჭადრაკეთა შემოქმედებისა და სა-
ჭადრაკო კომპოზიციის შესახებ.

ახლა უკვე კლუბის გაფართოებას
ვფიქრობთ, რათა პატარებს მეცა-
დინეობისა და ტურნირებში მონა-
წილეობის მეტი შესაძლებლობა
ჰქონდეთ. კარგია თუ საჭადრაკო
ფედერაცია ჩვენთანაც დაგეგმავს
დიდ ტურნირებს, შეხვედრებს, სა-
უბრებისა და ერთდროული თა-
მაშის სეანსების გასამართავად მო-
ავლენს დიდოსტატებსა და ოს-
ტატებს. ყოველივე ეს ხელს შეუ-
წყობს მოჭადრაკეთა ახალი თაო-
ბის აღზრდას, — გვითხრა სამტრე-
დიის სახალხო დეპუტატების რა-
იაღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ან-
დრიაძემ...

**თ. გიორგაძე.**

# ტანვარჯიში/ დღესასწაული —

**ასე ეწოდება დიდ სპორტულ ზეიმს, რომელიც 19 დეკემბერს გაიმარ-თება თბილისის სპორტის სასახ-ლეში.**





საჩვენებელ გამოსვლებში მონა-
წილეობის მისაღებად შეჯიბრების
ორგანიზატორებმა მოიწვიეს სახე-
ლოვანი ტანმოვარჯიშეები — **ნ. ანდ-
რიანოვი, ნ. კიმი, ე. მუხინა, ვ.
მარკელოვი**, მხატვრული ტანვარ-
ჯიშის ცნობილი ოსტატები **ი. დე-
რიუგინა, გ. შუგუროვა, ე. თომასი,**
მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიო-
ნები აკრობატიკაში **ი. ბრიკმანი, ვ.
ბინდლერი** და სხვები.

სპორტის მოყვარულები სასახლის
სარბიელზე იხილავენ ქართველ
სპორტსმენებსაც — სსრ კავშირის
ჩემპიონს სპორტულ ტანვარჯიშში
**მ. თათარაძეს**, საკავშირო ნაკრების
წევრებს მხატვრულ ტანვარჯიშში
**ი. გაბაშვილს, ლ. დოლიძეს**, ნაკრე-
ბის კანდიდატს **ი. ჟემჩუჟინას**, უძ-
ლიერეს ოსტატებს **მ. ჩორხელაძეს,
მ. ხალილოვას**, 1977 წლის საკავ-
შირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრი-
ზიორებს აკრობატიკაში **გ. გაგოშ-
ვილსა და ზ. ნიკოლაიშვილს**, ბა-
ტუტისტ **ს. მარქარიანს** და სხვ.



# ხალიჩაზე არიან მომავალი ჩემპიონები

დასასრული

უმალ რეაგირებენ. იქნებ ამიტომაც არის, რომ მონაწილეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ძალზე აქტიურად იბრძვის. სასიამოვნოა აღინიშნოს — ახალგაზრდა ათლეტები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული და პირველი წუთებიდანვე აღებულ ტემპს ბოლომდე უძლებენ. ეს ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებზეც ითქმის, თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ: ბევრი მათგანი ერთობ მოიკოჭლებს ტაქტიკაში. დამახასიათებელია კიეველი ს. ანდრეევისა და ქუთაისელი გ. ოდიშარიას შეხვედრა. ანდრეევმა პირველ წუთებშივე მოახერხა ქულათა მარაგის შექმნა, მერე კი ერთი შეხედვით პასიურადაც ჭიდაობდა, მიიღო კიდეც გაფრთხილება, მაგრამ საკმარისი იყო ოდიშარიას მოუმზადებელი იერიში, რომ კიეველი უცებ „აფეთქდა" — წმინდა გამარჯვება, სავსებით დამსახურებული. სულ სხვაგვარად წარმართა შეხვედრა ანდრეევმა მესამე ორთაბრძოლაში. როსტოველი ერმილოვი თავიდანვე დაწინაურდა. კიეველი კარგა ხანს თითქოს ნებაზე მიჰყვებოდა მეტოქეს, მერე რამდენიმე ელვისებური ილეთი, და კვლავ გამარჯვება.

კულისებში შემთხვევით აღმოჩნდი რამდენიმე მწვრთნელთან ერთად. კარგი ბიჭი ჩანს-მეთქი, ანდრეევზე ვთქვი. ერთ-ერთმა ეშმაკურად ჩაიღიმა. ანდრეევის მწვრთნელი გამოდგა. ტიტულებზე ვკითხე. ჯერ ისეთი არაფერი აქვს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო — მიპასუხა.

საინტერესოა, რომ ამავე წონითს კატეგორიაში ასპარეზობს თბილისელი დათო ლატარიაც.

საუცხოოდ გამოდიან ერევნელი მოჭიდავეები. მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურეს ზ. ფაშაიანმა, ა. გევორქიანმა და ტ. აბრამიანმა. პირველს 0 საჯარიმო ქულა აქვს, დანარჩენ ორს — თითო.

თუ მასპინძლებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც ცალკე გუნდით ასპარეზობენ, ყველაზე მეტი წარმომადგენელი კიეველებს ჰყავთ — 10 ათლეტი.

ბულგარეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის და ფინეთის გუნდებში 3-4 სპორტსმენია, გფრ-მ ერთადერთი კაცი გამოგზავნა შეჯიბრებაზე — ეს გფრ-ის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი ჰაინც ოსტერმანია. ოსტერმანი თვალყურს ადევნებს ორთაბრძოლებს, იწერს, იხსომებს. მწვრთნელს, როგორც თვითონ თქვა, განზრახული აქვს ეწვიოს ერთ-ერთ საჭიდაო კლუბს.

კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტია ძალზე ობიექტური მსაჯობა. თქმა არ უნდა, წმინდა სპორტული ატმოსფეროს პირობებში ყოველთვის უძლიერესი იმარჯვებს და ტურნირის მიზანიც ხომ ეს არის — გამოავლინოს ის სპორტსმენები, ხვალ თუ არა ზეგ მაინც თავიანთ უფროს კოლეგებს რომ ამოუდგებიან მხარში.

ზ. ირემაძე.

* * *

სურათზე: ასპარეზობენ ი. კუკუშკინი (კიევი) და ვ. პოტაპოვი (აბაკანი).

ე. ხუცურაულის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუშის მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 50-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო" 6—49-დან:

**პირველი:** 4 (მთამსვლელობა), 15 (წყალბურთი), 24 (თხილამურები), 32 (წყალში ხტომა), 36 (სლალომი), 40 (ტურიზმი). შეღავათიანი ბურთულა — 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი).

**მეორე:** 15 (წყალბურთი), 16 (ტანვარჯიში), 26 (მოტობურთი), 32 (წყალში ხტომა), 34 (ხელბურთი), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 40 (ტურიზმი).

„სპორტლოტო" 5—36-დან:

**პირველი:** 4 (კრივი), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 14 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 23 (წყალში ხტომა), 30 (სასტენდო სროლა).

**მეორე:** 7 (ველოტრეკი), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 24 (ხელბურთი).

**ფერგანაში** სსრ კავშირის თასზე ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში გამოვლინდა კიდევ თასების 2 მფლობელი.

82,5 კგ წონით კატეგორიაში ერთნაირი შედეგები ჰქონდათ (ორჭიდში 352,5 კგ.) სიმფეროპოლელ ვ. ილინს და დნეპროპეტროვსკელ ვ. ავჯანს. გამარჯვება ილინს მიეკუთვნა, რადგან მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა. III ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ი. გრიგორიევმა — 345 კგ. ატაცში ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი მოიპოვა გრიგორიევმა — 155 კგ, ხოლო აკვრაში — ილინმა — 200 კგ.

90 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვა მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა მინსკელმა ვ. შარიიმ — 380 კგ. იგი უძლიერესი იყო როგორც ატაცში (170 კგ), ასევე აკვრაში (210 კგ). ორჭიდში II ადგილზე გავიდა გროზნოელი ა. საიდულაევი— 372,5 კგ. ხოლო მესამეზე — მინსკელი დ. იურაგო, რომელმაც ისეთივე შედეგი აჩვენა, როგორც გროზნოელმა, მაგრამ მასზე მძიმე იყო.

მსოფლიო რეკორდით აღინიშნა 100 კგ წონითი კატეგორიის ძალოსნების ასპარეზობა. 27 წლის ხმელნიცკელმა ნ. კოლესნიკმა 180 კილოგრამი აიტაცა და 1,5 კილოგრამით გააუმჯობესა ოლიმპიური ჩემპიონის დ. რიგერტის წინანდელი მსოფლიო მიღწევა.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

## ძალოსნობა

## ხელბურთი

**სსრ კავშირის** ვაჟთა ნაკრებმა ხელბურთში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა გფრ-ის ქალაქ ჰასლოხში ადგილობრივ „ზიუდ-ვესტთან". ანგარიშით 26:17 (14:8) გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

გაზეთები აღნიშნავენ ჩვენი ხელბურთელების კარგ თამაშს, გამოჰყოფენ მაღალი ტანის ა. ანპილოგოვს, რომელმაც 7 ბურთი გაიტანა.

### ანპილოგოვის 7 ბურთი

მორიგ შეხვედრას საბჭოთა ნაკრები გამართავს კვირას ჰაიდელბერგში „ტსვ-როტის" კლუბთან.

# დისკვალიფიცირებული არიან

**დოპინგის** გამოყენებისა და საწვრთნელი რეჟიმის დარღვევის გამო აშშ-ის სამოყვარულო სპორტის კავშირმა ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცა საერთაშორისო კლასის 5 მოცურავეს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ეს დისკვალიფიკაცია, რომელიც ძალაში შევა 1979 წლის იანვრიდან, პრაქტიკულად „ოლიმპიადა-80"-ში მონაწილეობის შესაძლებლობას უკარგავს ამ სპორტსმენებს. ინფორმაციის ავტორის სიტყვით, კავშირი არ ამხელს დასჯილ მოცურავეთა სახელებს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ საწვრთნელი დისციპლინის დარღვევის გამო სამი თვით დისკვალიფიცირებულია კიდევ 13 სპორტსმენი. მათ შორის 14 წლის ცინტია ვუდხემი, რომელმაც დასავლეთ ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატში სამი ოქროს მედალი მოიპოვა თავისუფალი სტილით ცურვასა და ესტაფეტაში. დასჯილი არიან, აგრეთვე, 18 წლის ჯოან პენინგტონი — მსოფლიოს ჩემპიონი 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში და 15 წლის კიმ ლაინეხენი, რომელმაც დასავლეთ ბერლინში ორი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა თავისუფალი სტილის დისტანციებში. (საკდესი).

### • „მოსავლის" ზეიმზე

**ტაშკენტში** ამ დღეებში მოეწყო მოკავშირე რესპუბლიკების ჭაბუკთა ნაკრები გუნდების საკავშირო ტურნირი — „მოსავალი".

გათამაშებაში დამსახურებულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა, რომლებმაც კარგად ჩაატარეს მთელი გათამაშება (უფროსი მწვრთნელი ლ. ვერულიძე, მწვრთნელი მ. ანთიძე) და I ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხა ტაშკენტის „ფახთაქორი", 3:0 — სომხეთის ნაკრები და ფრედ ითამაშა უზბეკეთის გუნდთან — 2:2.

ი. ბოჭორაძე.

### სიმფეროპოლში, აშხაბადში...

სიმფეროპოლში ჩატარდა საფეხბურთო სპეციალიზებული სკოლების საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი (1962-63 წლებში დაბადებულნი, მწვრთნელები ჯ. თანანაშვილი, რ. კიზირია). ჩვენმა გუნდმა დაიკავა II ადგილი.

ამავე სკოლის 1964 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდი გამოდიოდა „ოქტომბრის" თასზე ქ. აშხაბადში და ასევე II ადგილზე გავიდა. (მწვრთნელები გ. ჩარკვიანი, ა. ბოჭორაძე).

**ნიუ-იორკის** „კოსმოსმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიძინა. ესაა ბრაზილიის „ბოტაფოგოს" მოთამაშე, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ფრანსისკო მარინიო.

**ბრაზილიის** „ბოტაფოგოს" თავდამსხმელი პაულო ცეზარი, რომელსაც 76 მატჩი აქვს ნათამაშევი ეროვნულ ნაკრებში, გაემგზავრა ინგლისს. მან კონტრაქტს მოაწერა ხელი ლონდონის „ფულჰემთან", რომელიც II ლიგაში გამოდის.

## ფეხბურთი

**იტალიამ** წარადგინა თავისი კანდიდატურა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე. (1934 წელს ეს ქვეყანა უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი).

აღსანიშნავია, რომ იტალიელთა წინადადება რიგით მეექვსეა ფიფა-ში. ადრე განაცხადები შეიტანეს იუგოსლავიამ, ბელგიამ და ჰოლანდიამ (ერთობლივად), სსრ კავშირმა, აშშ-მ და კანადამ.

**აფრიკის** ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა გვინეის „ხორეამ" (კონაკრი), რომელმაც ფინალში მეტოქის მინდორზე დაამარცხა ალჟირის „მოლაზა ხუსეინდეი" ანგარიშით 3:1.

**ვარშავის** „ლეგიისა" და პოლონეთის ნაკრების კაპიტანმა კ. დეინამ მიიღო პოლონეთის სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ნებართვა ითამაშოს ინგლისის კლუბ „მანჩესტერ სიტიში".

რედაქტორი ა. ბასილაია.

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 17 დეკემბერი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. **განათლების განყოფილება (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი).** დასაწყისი 12 ს. „ავაზას" სტადიონი დიღომში. **„ავაზა" (თბილისი) — „დილა" (გორი).** 13 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„განთიადი" (თბილისი)—„დინამო" (სოხუმი).** 13 ს.

უმაღლესი სასწავლებლების თასი. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სტადიონი. **ზოოვეტინსტიტუტი (თბილისი) — პედაგოგიური ინსტიტუტი (სოხუმი).** 13 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — პედაგოგიური ინსტიტუტი (ბათუმი).** 15 ს.






ახლახან, 30 წლის ბელგიელმა ა. ხანდელმა საჰაერო ბურთით ასპარეზობაში რეკორდი დაამყარა — უშიშარი აერონავტი ქალი 8545 მეტრ სიმაღლეზე ავიდა.

სახელგანთქმული ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი დიდ სპორტს გამოეთხოვა. ამსტერდამში გაიმართა გამოსათხოვარი მატჩი, რომელშიც კრუიფმა თავის მშობლიურ კლუბ „აიაქსის" შემადგენლობაში ითამაშა დასავლეთგერმანული კლუბის „ბაიერნის" წინააღმდეგ.

საკდესის ფოტო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 13411